აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის მოღვაწეობა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში

***თეიმურაზ ადეიშვილი, იუზა ადეიშვილი, *ირაკლი ავალიშვილი,**
****ნანა ბერძენიშვილი, ***ეკა ჟღენტი, *რაფიელ ქართველიშვილი,**
***სალომე შარაშენიძე, ****მაგდანა ჯიქია**
*საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია
**თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
***საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
****აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. *გასული საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში ფართოდ დაიწყო მეცნიერების განვითარება, რომელიც განუხრელად მიმდინარეობდა მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში. რა როლს ასრულებდა ამ პროცესში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიისა და საქართველოს ფილიალები საბოლოოდ არ არის ცნობილი საზოგადოების ფართო წრეებისათვის. სწორედ ამ საკითხის უკეთ წარმოჩენის მცდელობას წარმოადგენს წინამდებარე სტატია.*

გასული საუკუნის 30-იან წლების დასაწყისისთვის კვლევა-ძიების განვითარებამ, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების არსებობამ, ახალგაზრდა მეცნიერთა რიგების სწრაფმა ზრდამ და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების ქსელის არსებითად გაფართოებამ მოითხოვა ქვეყანაში მეცნიერების დამოუკიდებელი სათავო ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

ამ მიზნით 1933 წლის 22 სექტემბერს აკადემიკოსმა **ნიკოლოზ იაკობის ძე მარმა** მოიწვია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის (დაარსებულია 1917 წელს) გაფართოებული სხდომა. აღსანიშნავია, რომ იგი გაიმართა თბილისის უნივერსიტეტის შენობაში. მთავრობის ოფიციალური პირების გარდა მას ესწრებოდნენ გამოჩენილი მეცნიერები სხვადასხვა დარგებიდან: **ი. მეშჩანინოვი, ნ.ბუში, ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ა.ჯანელიძე, ა. თვალჭრელიძე, ი. ვეკუა, ბ.სოსნოვსკი** და სხვები. სხდომის თავმჯდომარემ (**ნ.მარი**) რუსულ და ქართულ ენებზე წარმოთქმულ მისასალმებელ სიტყვაში დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალთან საქართველოს განყოფილების გახსნის თაობაზე.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსა და ცენტრალური აღმასრულებელო კომიტეტის 1935 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით შეიქმნა ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილება, რომლის უპირველეს ამოცანად მიჩნეულ იქნა რესპუბლიკის ბუნებრივ საწარმოო ძალთა შესწავლა. აღნიშნული დადგენილებით 1933-1934 წწ. საქართველოს განყოფილებას დაავალეს სამუშაოები გაეფართოებინა გეოლოგიის, გეოფიზიკის, ბიოლოგიის, ნიადაგმცოდნეობისა და ქიმიის დარგში შესაბამისი ს/კ ინსტიტუტებისა და სექტორების ჩამოყალიბებით [1]. ამ გადაწყვეტილებით განყოფილებას გადაეცა თბილისის ბოტანიკური ბაღი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგების ლაბორატორია,

თბილისის სეისმური სადგური. თბილისის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო განყოფილებათა ბაზაზე 1933 წლის ნოემბერში საქართველოს განყოფილებასთან შეიქმნა ბოტანიკური ინსტიტუტი და იმავე წელსვე დაარსდა გეოფიზიკური ინტიტუტი. 1933 წლის განსაზღვრული სტრუქტურის მიხედვით საქართელოს განყოფილების შემადგენლობაში შედიოდა: თბილისის გეოფიზიკის ინსტიტუტი, თბილისის ბოტანიკური ბაღი, თბილისის ქიმიის ინსტიტუტი, თბილისის ნიადაგების ინსტიტუტი. 1934 წელს ეს უკანასკნელი ამოღებული იქნა განყოფილებიდან და მის მაგიერ ჩამოყალიბდა ნიადაგმცოდნეობის სექტორი. სულ მალე დაარსდა გეოლოგიის და ბიოლოგიის სექტორები, რომელთაა ხელმძღვანელობა დაევალათ პროფესორებს: **ალექსანდრე ჯანელიძეს** და **ივანე ბერიტაშვილს.**

საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიოდნენ: **ნ. მუსხელიშვილი, ივ. ბერიტაშვილი, ა. თვალჭრელიძე, ა. ჯანელიძე** და სხვები. ისინი ასევე შედიოდნენ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის პრეზიდიუმის შემადგენლობაში. საქართველოს განყოფილების თავმჯდომარედ დარჩა აკადემიკოსი **ნიკო მარი.** ის ასევე იყო საკავშირო მ/ა ამიეკავკასიის ფილიალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1933 წლის 22 სექტემბერს ამიერკავკასიის ფილიალის პრეზიდიუმმა მოისმინა საკითხი „ფილიალის მუშაობის გარდაქმნისა და საქართველოს მასშტაბით მუშაობის გაშლის შესახებ.“ იქვე დაისვა საკითხი გეოფიზიკის ინსტიტუტის დაარსებისა და მასში თეორიული და მათემატიკური და ექსპერიმენტული გეოფიზიკის განყოფილებების შექმნის შესახებ. მის დირექტორად არჩეულ იქნა საკავშირო მ/ა წევრ-კორესპოდენტი **პ. ნიკიფოროვი**, ხოლო მოადგილეებად პროფესორები **ნიკო მუსხელიშვილი** და **მიხეილ ნოდია. ნ. მუსხელიშვილი** ასევე იყო თეორიული გეოფიზიკის განყოფილების გამგე, ხოლო **მ.ნოდია** ექსპერიმენტული გეოფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი. სეისმური სამსახურის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი **ე. ბიუსი,** ხოლო სწავლული მდივანი ამხ. **ა. ცხაკაია.** თეორიული გეოფიზიკის განყოფილებამ ფუნქციონირება დაიწყო 1934 წლის ივნისიდან. სწორედ ამ პერიოდში მოიწვიეს მეცნიერ-სპეციალისტი **ი. ვეკუა** განყოფილების მუშაობაში მონაწილეობისათვის. [2]

ამავე დროს **ნ. მუსხელიშვილი** შეთავსებით მუშაობს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-სპეციალისტად ჯერ ლენინგრადში (1933-34 წწ.), ხოლო შემდეგ მოსკოვში (1934-1936 წწ.)

შეთავსებათა ამ უჩვეულო რაოდენობას, რაც გასული საუკუნის 30-იანი წლებისათვის იყო დამახასიათებელი, ბატონი **ნიკოს** სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-ორგანიზაციული საქმიანობისათვის, 1935 წელს დაემატა მათემატიკის ს/კ ინსტიტუტის შექმნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შემადგენლობაში. მასში გადმოდის გეოფიზიკის ინსტიტუტიდან და თბილისის უნივერსიტეტიდან მათემატიკისა და მექანიკის შესაბამისი მიმართულებები. ყველა ეს და სხვა საორგანიზაციო საქმიანობა **ნიკო მუსხელიშვილის** დიდ პასუხისმგებლობის გრძნობასთან იყო შეზავებული მ/ა საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე.

ფილიალში ბატონი ნიკოს საქმიანობის ძირითადი აქცენტები თავიდანვე მიმართული იყო ასპირანტურის სექტორის მუშაობის გაუმჯობესებისაკენ. ფილიალის ინსტიტუ-

ტების და სექტორების სისტემაში თავიდანვე დამკვიდრებული იყო არასწორი დამოკიდებულება სამეცნიერო კადრების მომზადების საკითხის მიმართ, რომლის აღმოფხვრას საკმაოდ დაძაბული საქმიანობა დაჭირდა **ნ. მუსხელიშვილის** მხრიდან.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმში და მასში შემავალ ინსტიტუტებში ისევე, როგორც საქართველოს ყველა დაწესებულებაში და მთელ საბჭოთა კავშირში, 1936-37 წლებში შექმნილი უაღრესად დაძაბული ვითარება არასასურველი განმუხტვისაკენ მიექანებოდა. ყველა დაწესებულებაში ტარდებოდა საანგარიშო--„მამხილებელი“ კრებები, რომლებზეც აუცილებლად უნდა გამოსულიყო ინსტიტუტის დირექტორი თუ დაწესებულების ხელმძღვანელი, „ღალატში ეჭვიტანილნი“ და მათი მამხილებლები. „კრიტიკისა და თვითკრიტიკის“ ამ სპექტაკლებმა ბოლომდე გააშიშვლა ზოგიერთი ზემდგომი ადგილობრივი მოღვაწის შენიღბული ბუნება და ისედაც დაძაბული და ზემოდან თავსმოხვეული თვითგანწმენდის პროცედურის ცხოვრებაში გატარება, ზედმეტი „გულმოდგინეობით“ დაიწყეს.

შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ ბატონმა **ნიკომ** მასზედ, როგორც მ/ა საქართველოს ფილიალის დაარსებიდან მის საქმიანობაზე ანგარიშვალდებულზე, დაკისრებული მოვალეობა მთელი პასუხიმგებლობით მოიხადა იმით, რომ ე.წ. „ხალხის მტერთა“ მისამართით თავშეუკავებელი წყევლა-ლანძღვით ცოდვა არ დაუსვია.

1937 წლიდან ბატონი **ნიკო** ენერგიულად ცდილობს ფილიალის საქმიანობის გარდაქმნას: ინსტიტუტების სამეცნიერო-საკვლევი თემატიკის გადასინჯვა-დაზუსტებას, ფილიალის შენობის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის გადასინჯვას, გამომცემლობისა და ჟურნალ „მეცნიერების მოამბის“ სარედაქციო საბჭოების განახლებას, ასპირანტურის მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას, მეცნიერების ზოგიერთ დარგში საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ადგილზე დაცვის ორგანიზაცებას, აბასთუმნის ობსერვატორიის გაფართოებას და სხვა, რაც ქმნიდა იმის პირობას, რომ იგი ფილიალის თავმჯდომარე გამხდარიყო 1938 წელს.

აკადემიკოს **ნიკო მუსხელიშვილის** სამეცნიერო-საორგანიზაციო მოღვაწეობა სსრკ მ/ა საქართველოს ფილიალის თავჯდომარის თანამდებობაზე დაემთხვა რეპრესიების პერიოდს და 1937 წლის იანვრიდან 1941 წლის თებერვლამდე გრძელდებოდა.

ცხადია, საქართველოსა და მთელი კავშირის მასშტაბით „ხალხის მტრებისა“ და „მავნებლების“ გამოაშკარავების პერიოდში, როცა პარტიის მოწოდების შესაბამისად, ფილიალის პარტორგანიზაციის მესვეურებს უნდა დაენერგათ ბრძანება: „თითოეული კომუნისტის, კომკავშირელისა და უპარტიო ბოლშევიკის ვალია, ყოველგვარ გარემოებაში, ყოველ ნაბიჯზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა შეეძლოს გამოვიცნოთ და ვამხილოთ მტერი, როგორ უნარიანადაც არ უნდა ინიღბებოდეს ის“[2].

გასული საუკუნის 30-40-იან წლების მეცნიერ-ორგანიზატორთა და სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელ პირთა შეფასებაში ბოლო პერიოდში შემუშავდა ორგვარი სტერეოტიპის სახე: უარყოფითი მოღვაწის, რომელიც მთელი არსებითა და შეგნებით იყო ჩართული ოფიციალური სტრუქტურებისა და პარტიული ფუნქციონირების სამსახურში და რომელთაც ნებით თუ უნებლიეთ ბრალი ედებათ უდანაშაულო კოლეგების „გამოაშკარავებაში“ და ხელმძღვანელის, რომელიც გაბედულად აცხადებდა უარს რეპრესიულ ღო-

ნისძიებებში მონაწილეობაზე, „გამოაშკარავებული“ კოლეგების დანაშაული არ სჯეროდა და სამოღვაწეო ასპარეზს იძულებით ან თვითნებურად ტოვებდა. იყვნენ ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეებიც, რომელთა მეცნიერულ-ორგანიზაციული საქმიანობა და პირადი თვისებები, მიუხედავად მათი არა მუშურ-გლეხური წარმოშობისა, ხელისუფლებისაგან გარკვეული ნდობით სარგებლობდა და თავადაც პოლიტიკური ალღოთი გამოირჩეოდნენ. ასეთები იყვნენ **ივანე ჯავახიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, სერგო ვავილოვი, პეტრე კაპიცა, ვლადიმერ კომაროვი** და სხვ. ასეთივე ტიპის მოღვაწე-მეცნიერებს წარმოადგენდნენ აკადემიკოსები: **ნიკო მუსხელიშვილი, ევგენი ხარაძე, ნიკო კეცხოველი** და სხვ., რომლებმაც ღირსეულად გაიარეს 1937 წლის დიდი აკადემიური წმენდის ქარცეცხლი.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თანამშრომელთა აქტივის თათბირის საანგარიშო მოხსენების სტენოგრაფიული ჩანაწერი სწორ წარმოდგენას გვაძლევს 1937 წლის 19 და 20 სექტემბრის სხდომების მსვლელობაზე, რომლებზეც ფილიალის თავმჯდომარის მოადგილემ, პროფესორმა **ნ. მუსხელიშვილმა,** ანალიზი გაუკეთა ფილიალის მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებს 1936 წლიდან 1937 წლის შემოდგომამდე პერიოდს და დასახა მისი შემდგომი განვითარების გეგმები. ამ დროისათვის ფილიალის სისტემაში გაერთიანებულია რვა ს/კ ორგანიზაცია: 1. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, 2. გეოფიზიკის ინსტიტუტი, 3. მათემატიკის ინსტიტუტი, 4. ქიმიის ინსტიტუტი, 5. ბოტანიკის ინსტიტუტი. 6. ზოოლოგიური ინსტიტუტი, 7. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია და 8. საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონის რედაქცია. [3]. თათბირზე გადაწყდა ფილიალის შემადგენლობაში გეოლოგიის, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტებისა და ენერგეტიკული სექტორების შექმნა.

1938 წლის 5 ივნისს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მოისმინა და განიხილა საქფილიალის თავმჯდომარის აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ნ. მუსხელიშვილის** „ანგარიში სსრკ მ/ა საქფილიალის მუშაობის შესახებ“, რის საფუძველზეც მიღებული იქნა დადგენილება, რომლის შესავალ ნაწილში ეწერა: სსრკ მ/ა პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქფილიალისადმი აღმოჩენილი ზრუნვის შედეგად უზრუნველყოფილია საბჭოთა საქართველოში მეცნიერების განუხრელი ნაყოფიერი ზრდა როცა დიდ პერსპექტივებს უქმნის მის შემდგომ განვითარებას [4].

საკავშირო მ/ა საქართველოს სამეცნიერო და ორგანიზაციული საქმიანობის ერთობლივი საქმიანობის არეში იმ პერიოდში შემოდის სომხეთისა და აზერბაიჯანის ფილიალებთან ერთად საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ დარგებში ღონისძიებების მომზადება და ჩატარება. აქ ხაზი უნდა გაესვას **ნიკო მარის** სახელობის „ენიმკის“ ინსტიტუტის მონაწილეობა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისათვის იუბილის ორგანიზაციასა და ჩატარებაში (1937 წ.), ნიზამი განჯელის დაბადების 900 წლისთავისა (1942 წ.) და დავით სასუნცის ეპოქის 1000 წლისთავის (1939 წ.) იუბილეებში.

ამ უკანასკნელ თარიღთან დაკავშირებით მ/ა საქფილიალის თავმჯდომარემ 1939 წლის 8 იანვარს სხდომაზე პროფესორ **სიმონ ჯანაშიას** მოხსენების - „სომხური ეპოსის „დავით სასუნცის“ ქართული თარგმანის შესახებ, შემდეგ დაადგინა, რომ აკად. **ნ. მარის** სახელობის „ენიმკის“ ინსტიტუტს წარმოედგინა ამ უნიკალური ძეგლის პროზაული თარ-

გმანისა და კრებულის გამოცემის დეტალური გეგმა.

სომხური გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციისადმი მიმართვაში (1939. 09. 09.) აკადემიკოსი **ნიკო მუსხელიშვილი,** სხვათა შორის, წერდა: „დიდია სომეხი ხალხის ამ ბრწყინვალე კულტურული ძეგლის მნიშვნელობა. მათ საუკუნეების წიაღში გაატარეს ეს შესანიშნავი ძეგლი. ღრმა ხალხური სიმართლით, სიბრძნითა და სიყვარულით გაჯერებული სომეხი ხალხის ეს მონუმენტური შემოქმედება ნათელ ფერებში, შესანიშნავად ხატავს ისტორიული ბრძოლის დღეებს. სომხური გმირული ეპოსის „დავით სასუნცის“ შესწავლა ნიშნავს, გავიზიაროთ სომეხი ხალხის ისტორიის დიდებული ფურცლები, მისი გმირული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ეს ნიშნავს, გავიგოთ დიდი სახალხო ძალისხმევა სომეხთა ბრძოლისა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, როცა მოძმე სომეხი ხალხი თავგანწირულად ერთსულოვნებით დაირაზმა უცხოელთა მონობის უღლის დასამსხვრევად“[5].

კოლექტიური აზრის პრიმატის დამკვიდრებისადმი პატივისცემა, რომლის გატარებისათვის ბატონ **ნ. მუსხელიშვილს** მოუხდა უკომპრომისო ბრძოლის გადატანა ფილიალის პრეზიდიუმში და რომელსაც შემდეგ ამკვიდრებდა როგორც ცალკეული ინსტიტუტების პოზიციას, ნათლად წარმოადგენს მის, როგორც მეცნიერების ორგანიზატორის როლს.

სახალხო მეურნეობის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში საქფილიალის დაწესებულებათა ჩაბმაში, აკად. **ნ. მუსხელიშვილის** როლის დემონსტრირების მიზნით წარმოვადგენთ „მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (თელავი) დირექტორის მოადგილის **სანიკიძის** და აგრომეტეოროლოგიის განყოფილების გამგის **ჩუბინაშვილის მუსხელიშვილისადმი** 1939 წ. ივნისის N187 მიმართვას, რომელიც იწყება სიტყვებით: „მოსავლიანობის ამაღლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემების წარმატებით გადაჭრა ჩვენგან მოითხოვს ყველა არასასურველი კლიმატური მოვლენის შესწავლასა და მათზე ზემოქმედებას, კერძოდ, სეტყვის პროცესის თავიდან აცილებას [6].

შევნიშნოთ, რომ 1939 წლის მარტის მეორე ნახევრიდან მაისის ჩათვლით აკად. **ნ. მუსხელიშვილი** მძიმედ ავადმყოფი მეუღლის სამკურნალოდ მოსკოვსა და ლენინგრადში-ა. 1938 წელი ამავე დროს მეუღლისა და მამის გარდაცვალების წელია. ამის გამო, ფილიალის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს არა მისი მოადგილე პროფ. **სიმონ ჯანაშია,** არამედ პროფ. **ვიქტორ კუპრაძე.**

ცხადია, ბატონ **ვ.კუპრაძეს** შეეძლო დოკუმენტის პრეზიდიუმზე განხილვა, მაგრამ დასმული საკითხის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო, იგი სამუშაოზე ივნისის თვეში გამოსულ აკად. **ნ. მუსხელიშვილს** მოხსენდა, შემდეგ კი გეოფიზიკურ ინსტიტუტს დაეწერა. სპეციალისტთა ჯგუფი **ა. ბუხნიკაშვილის** ხელმძღვანელობით დიდხანს სწავლობდნენ სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებებს მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. აკადემიკოსი **ნ. მუსხელიშვილი** დიდ ყურადღებას უთმობდა და ყოველნაირ დახმარებას უწევდა **ა. ბუხნიკაშვილის, გ. სულაქველიძის, ა. ქაცარავას, ნ. ბიბილაშვილისა** და **ბ. კიზირიას** ჯგუფს სეტყვის საწინააღმდეგო სარაკეტო სამსახურის შექმნის საქმეში. XX საუკუნის 70-იან წლებში სეტყვის საწინააღდეგო რაკეტული სამსახური კახეთის მხარეში შეჩერებული იყო რამდენიმე წელი და მკაცრი

ეკოლოგიური ექსპერტიზის ქვეშ მოექცა. 80-იან წლებში კი იგი საერთოდ მოიშალა. საერთოდ, აკადემიასა და საუწყებო ინსტიტუტებში ამა თუ იმ პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში საკმაოდ მკაცრად მიმდინარეობდა, რაშიც ძალზე დიდი იყო მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელების წვლილი.

აკადემიკოს **ნ. მუსხელიშვილის** სახელმწიფო-პოლიტიკური შეხედულებები იმთავითვე ყალიბდებოდა განათლების, კულტურისა და მეცნიერების განვითარებისადმი, ხელისუფალთა მიერ იმ ხელშემწყობი პირობების შექმნის და მისი შესაძლო გამოყენების ჩვენებით, რასაც ქვეყნის საერთო წინსვლა უნდა გამოეწვია. მისი პოლიტიკური და სამართლებრივი კრედო ჩამოყალიბდა რევოლუციამდელ პეტერბურგში 9 წლიანი განათლების მიღების პერიოდში (1909-1917 წწ.) „რევოლუციის აკვანში“ სამწლიანი მოღვაწეობის წლებში (1917-1920 წწ.), დემოკრატიულ საქართველოში ნახევარწლიანი (1920.09-1921.02) ადაპტირებისა და საბჭოთა საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის კატაკლიზმებით აღვსილ ეპოქაში. ბატონი **ნიკოს,** როგორც საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატისა და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსისა და პრეზიდიუმის წევრის, საქმიანობა დაქვემდებარებული იყო განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების იმ ამოცანების გადაჭრისადმი, რომლებიც შესაძლებელი იყო საბჭოების პოლიტიკური სისტემის პირობებში. პეტროგრადის უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროს, როდესაც რევოლუციით დეზორიენტირებული საზოგადოება თავშესაფარს ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიაში ეძებდა, იგი მეცნიერულ წინსვლაში ჰპოვებდა მიზანსწრაფულობას. ერთგვარი პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, რომელმაც განსაზღვრა მისი ხანგრძლივი სამეცნიერო პედაგოგიური თუ საზოგადოებრივ-ორგანიზატორული საქმიანობა, ჩარჩოებში იყო მოქცეულიჯერ კიდევ პეტროგრადის უნივერსიტეტში მოღვაწეობისას შეძენილი სტილით. რევოლუციის, ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პირობებში პოპულარულ საჯარო ლექციებს ატარებს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. რაც შეეხება 1920 წელს ატომურ კომისიაში“ მისი მუშაობის ხასიათსა და იმ ვითარებას, რომელიც რუსეთიდან დემოკრატიულ სამშობლოში ბატონი **ნიკოს** „გამოპარვას“ უკავშირდება მის გარკვეულ პოლიტიკურ ორიენტაციაზე მეტყველებს, რაც პატრიოტიზმის ბუნებრივ გრძნობებთან იყო შეზავებული.

დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკურმა მიმართულებამ, მეცნიერების, კულტურისა და მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის ზრუნვამ, მთავრობის მხრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული ავტონომიის დადასტურებამ, ევროპის საუნივერსიტეტო და აკადემიური განათლების ტენდენციებისაკენ კარგახსნილობამ დოც. **ნ. მუსხელიშვილს** სადოქტორო დისერტაციის ფრანგულ ენაზე დაწერის სტიმული მისცა. მაგრამ 1921 წელს თებერვლის დაპყრობითმა აქციამ, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაამხო, კატეგორიული პოლიტიკური შეფასება მიიღო 1922 წ. გამოცემულ მის სადოქტორო დისერტაციის შესავალში.

„გარეშე მიზეზებმა, რომლებმაც ერთბაშად შეგვაწყვეტინა ევროპასთან ნორმალური ურთიერთობები და თითქმის შეუძლებელი გახდა ამოდენა მონოგრაფიის უცხოეთში დაბეჭდვა, მაიძულა აქვე გამომეცა ეს შრომა ისეთ ენაზე, რომელიც ყველა მათემატიკოსისათვისაა გასაგები“ [7]. ცხადია, აქ რასაც გულისხმობს ბატონი **ნიკო** „გარეშე მიზეზებში“, სავ-

სებით ცალსახადაა ნათქვამი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას თბილისის უნივერსიტეტის პროფესურა და მათ შორის პროფესორი **ნ. მუსხელიშვილიც** დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია, მაინც გარკვეულ ლოიალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ ისინი საქართველოსა და ამიერკავკასიის ხელისუფალთა მიმართ, რადგანაც უნივერსიტეტთან ურთიერთობაში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ თავიდან დემოკრატიული საწყისები დანერგა და მისი ავტონომია ხელშეუხებელი დატოვა. ამ ვითარების ერთერთი დამადასტურებელი ფაქტორია დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით თავისუფალი სამეცნიერო კონტაქტების განგრძობა, რომლითაც თვითონ **ნ. მუსხელიშვილმაც** ისარგებლა 1923 წელს. სწორედ, ამ ვითარებითაა ნაკარნახევი „უნივერსიტეტის დეკლარაციის“ საერთო განწყობილება, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1924 წლის 28 აგვისტოს სახალხო აჯანყებასთან დამოკიდებულების გარკვევასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა 1924 წლის 5 სექტემბერს. ამ დეკლარაციის პათოსს, რომელსაც ხელს აწერდა უნივერსიტეტის 24 წამყვანი პროფესორი (მათ შორის იყო **ნ. მუსხელიშვილიც**) არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა პროფ. **ნიკო მუსხელიშვილის** შემდეგდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. „დეკლარაცია“, რომელიც ბატონი **ნიკოს** იდეური მოძღვრის - **ივ. ჯავახიშვილის** ხელმოწერით იკაფავდა გზას, დიდი **ნიკო ნიკოლაძის** თანადგომით სარგებლობდა და მისი სულიერი მეგობრის **გიორგი ნიკოლაძის** მონაწილეობით დასტურდებოდა და უფრო მთავრობის მიერ გადადგმულ წარმატებულ ნაბიჯებს უსვამდა ხაზს. თუმცა მასზე ხელი არ მოუწერია ისეთ ცნობილ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ პროფესორები: **ანდრია ბენაშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, პეტრე მელიქიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე** და მრავალი სხვა, რომლებიც არ იზიარებდნენ დეკლარაციის ძირითად შეფასებებს. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ თავად **ივანე ჯავახიშვილი** (ან **ნ. მუსხელიშვილი**), რომელიც ძლივს გადაურჩა 1924 წლის რეპრესიებს, „რწმენით და წმინდა სინდისით“ მოაწერდა ხელს ამ დოკუმენტს, რომელიც 1921 წლის თებერვალში საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ დეკლარაციის პათოსი, რომელიც გმობდა „საქართველოში ავანტურისტული მახვილის შემოტანას“, არ შეიძლებოდა ორხაზოვანი ყოფილიყო. სწორედ, ასეთი მიდგომით უნდა იყოს განხილული ამ დოკუმენტზე ბატონი **ნიკოს** ხელმოწერაც.

რასაკვირველია, პროფესორი **ნ. მუსხელიშვილი,** როგორც საბუნებისმეტყველო-ტექნიკური დარგის ინტელიგენციის წარმომადგენელი, მაშინდელი საბჭოთა მთავრობის აღმშენებლობით, სამშვიდობო და საგანმანათლებლო პოლიტიკას ანიჭებდა უპირატესობას, ვიდრე ეროვნული დამოუკიდებლობის შეზღუდვის იმ გარემოებებს, რომლებიც დამკვიდრდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

პროფესორი **ნიკოლოზ მუსხელიშვილის** მიმართ მკვეთრად იცვლება ოფიციოზის დამოკიდებულება 1924 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ. პროფესურისადმი დამოკიდებულება ძირითადად ყალიბდებოდა უცხოეთში არსებული ნათესაური კავშირებისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ბალანსირების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, თუკი 1923 წელს საფრანგეთში მივლინების ნებართვა ადვილად მიიღო ბატონმა **ნიკომ,** 1928 წ. ბოლონიის კონგრესზე მივლინებაზე დიდი ხნის თხოვნის შემდეგაც უარი ეთქვა.

მიუხედავად ენერგიული შინაგანი პროტესტისა, რომელიც ამის გამო გამოხატა პროფესორმა **ნ. მუსხელიშვილმა,** იგი მაინც განუწყვეტლივ ემსახურებოდა მომავალი თაობის სწავლა-განათლების საქმეს. სამეცნიერო-ორგანიზაციული და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში ბატონი **ნიკო** ყოველთვის ავლენდა საკვირველ უნარს, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მოენახა მოვლენის სიტუაციის შესაბამისი გადაჭრის, პრინციპული პოზიციების შესატყვისი ოპტიმალური ვარიანტი ზედმეტი ხმაურისა და გართულებების გარეშე. იგი ამიერკავკასიის ცაკის წევრადაც აირჩიეს, მას შემდეგ, რაც 1935 წლიდან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრად იყო არჩეული.

რამდენად ადექვატურად ასახავდა ხალხის განწყობილებას უმაღლესი ფედერაციული თუ საქალაქო საბჭოს დეპუტატი? ეს საკითხი ძალზე რთულია და არაერთმნიშვნელოვნადაა გადაჭრილი. საკითხი სხვანაირადაც შეიძლება დაისვას იმის შესახებ, თუ რა ფუნქცია ეკისრებოდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ავტორიტარული მმართველობისა და დიქტატორული ხელისუფლების პირობებში. პროფესორ **ნ. მუსხელიშვილის,** როგორც საკავშირო უზენაესი საბჭოს ყველა მოწვევის (1937-1970 წწ.) დეპუტატის უფლება-მოვალეობანი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებით. თუმცა ამ მიმართულებით მისი ინიციატივით 1938 წლის დეკემბერში გაზეთ ‘პრავდაში“ გამოქვეყნებული წერილიც „საჭიროა უმაღლესი პოლიტექნიკური სკოლა“, რომელსაც მასთან ერთად ხელს აწერდნენ აკადემიკოსები: ს. **სობოლევი, მ. ლავრენტიევი, ი. გელფანდი, დ. პანოვი, ს.ხრისტიანოვიჩი, ფ.განტმახერი, ფ. ტრევინი, ნ.კოჩინი**, საკმარისია და რომლის უშუალო შედეგია „საინჟინრო ფიზიკური“ და „ფიზიკა-ტექნიკური“ ინსტიტუტების შექმნა მოსკოვსა და სხვა ქალაქებში, ან 1948 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული ახალი „ფიზიკა-ტექნიკის“ ფაკულტეტი.

ამჟამად არათანადროულად აღიქმება ბატონი **ნიკო მუსხელიშვილის** ისეთი საგაზეთო სტატიები, გამოქვეყნებული ცენტრალურ და რესპუბლიკურ გაზეთებში, როგორიცაა „შეხვედრები ბელადთან“ [8], „დაუვიწყარი დღეები, როგორ ვუკეთებდით რედაქტირებას სსრკ კონსტიტუციის ტექსტს“ და სხვა ისე, როგორც მის მიერ განმეორებული ზოგიერთი დოგმატური ფრაზა.

უზენაესი საბჭოს დეპუტატობა საშუალებას აძლევდა ბატონ **ნიკოს** გამოქომაგებოდა ან თავდებობა ეკისრა 1937-1938 წლების რეპრესირებული, ან ეჭვიტანილი მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლების მიმართ. აკადემიკოსი **ელიფთერ ანდრონიკაშვილი** წიგნში „მოგონებანი თხევად ჰელიუმზე“ [9] იგონებს აკადემიკოს **პეტრე კაპიცასთან** საუბარს, როცა ცნობილი მეცნიერი აკადემიკოს **ნ. მუსხელიშვილს** სთხოვს შუამდგომლობას, რათა მას თავდებობა ეკისრა დასავლეთის ჯაშუშობაში და მავნებლობაში ეჭვმიტანილ ცნობილ აკადემიკოსებზე: **ლ.ლანდაუზე, ვ. ფოკზე, ი. კრუტკოვზე და ი. ობრეიმოვზე.** დიდია ბატონი **ნიკოს** როლი აკადემიკოს **ი. კრუტკოვისათვის** სასჯელის შემსუბუქება-პატიებაში, რომლის ძალისხმევით იგი ომისშემდგომ წლებში ერთხანს მოღვაწეობდა სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტში და ეს ეპიზოდური შემთხვევები არ უნდა იყოს **ნიკო მუსხელიშვილის** მოღვაწეობაში.

საკავშირო მ/ა აკადემიკოსობაზე **ნ. მუსხელიშვილის** კანდიდატურა წარადგინეს

მოსკოვის მათემატიკურმა საზოგადოებამ, ვ. სტეკლოვის სახ. მათემატიკურმა ინსტიტუტმა, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სეისმოლოგიის ინსტიტუტმა, საკავშირო მ/ა საქართველოს ფილიალმა, ამ ფილიალის გეოფიზიკის ინსტიტუტმა და იმ დროისთვის სახელმოხვეჭილმა აკადემიკოსებმა: **ი. ვინოგრადოვმა, ს. ბერშტეინმა, ლ. პოტრიაგინმა, ბ. გალიორკინმა, მ. ლავრენტიევმა, ს. სობოლევმა** და სხვებმა [3].

საბჭოთა კავშირის მ/ა 1939 წლის თებერვლის საერთო კრებამ ბატონი **ნ. მუსხელიშვილი** დაამტკიცა აკადემიის ნამდვილ წევრად. იმავე დროს საქართველოდან აკადემიკოსებად აირჩიეს ქართველ ისტორიკოსთა და ქართველოლოგთა მამამთავარი **ივ. ჯავახიშვილი** და ქართული ფიზიოლოგიური სკოლის მესაძირკვლე **ი. ბერიტაშვილი.** ქართველ ენათმეცნიერთა სკოლის დამსახურებული წარმომადგენლები პროფესორები **– ა. შანიძე** და **გ.ახვლედიანი** საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტებად აირჩიეს.

1940 წელი ათწლიანი შემოქმედებითი აფეთქების ახალი ციკლის დასაწყისია აკადემიკოს **ნიკო მუსხელიშვილის** ცხოვრებაში. ამ წელს განხორციელდა მათემატიკის ინსტიტუტში სასაზღვრო ამოცანებისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებების თეორიაში სპეციალური სემინარის დაარსება და ამ დარგში ხუთი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, რომელთაგან სამი დაიბეჭდა საკ. მ/ა საქართველოს ფილიალის „მოამბეში“, რომელიც 1940 წლიდან რეგულარულად გამოდიოდა.

საქართველოში აკადემიური მეცნიერების ერთიანი ფრონტით განვითარების გადაუდებელ ამოცანებზე ფიქრითაა განპირობებული, საკავშირო მ/ა საქფილიალის პრეზიდიუმის 1940 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება. ამ სხდომის N13 ოქმის ამონაწერი გვამცნობს კრებულისათვის „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 20 წლის მანძილზე“ აკად. **ნიკო მუსხელიშვილის** მიერ წარმოდგენილი კრებულის სტრუქტურასა და სხვადასხვა მეცნიერული მიმართულებებისათვის დადგენილ დასაბეჭდი ფორმების მოცულობებს.

სტატიის ავტორისთვის დადგენილი იქნა ჰონორარი 700 მანეთის ოდენობით ერთი საავტორო ფორმისათვის (დაახლოებით 40 ათასი ბეჭდვითი ნიშანი) [10].

აშკარაა, როცა ბატონი **ნიკო** საბჭოთა საქართველოში მეცნიერების განვითარების 20 წლისთავის საიუბილეო კრებულის გამოცემას გეგმავდა და მეცნიერების ცალკეული დარგების მიხედვით, უპირველესად მხედველობაში ჰქონდა ფილიალის სისტემაში არსებული მიმართულებები მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიცაა სამედიცინო, ეკონომიკა და სამართალი, ფილოსოფია-პედაგოგიკა-ფსიქოლოგია და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებები, ფილიალში ამ დროს ნაკლებად იყო წარმოდგენილი. მეცნიერების ახალი დარგების დანერგვა-განვითარებაზე ფიქრი აკადემიკოს **ნიკო მუსხელიშვილისა** და საქფილიალის პრეზიდიუმის აზრით, იმ პირობით იყო შესაძლებელი, თუ მალე გადაწყდებოდა საქართველოს მ/ა ჩამოყალიბების დიდი მამულიშვილური საქმე

მეცნიერების განვითარების ორგანიზაციის აკადემიური ფორმის დაცვისა და ამასთან, ჰუმანიტარული მიმართულების მეცნიერებათა პერსპექტიული ფორმირების სახელწიფო დაფინანსების შემდგომი სრულყოფის დასაბუთებას მიეძღვნა ბატონი **ნიკოს** ამ პერიოდის მრავალრიცხოვანი ნაბეჭდი და ზეპირი მოხსენება. ამ კუთხით აღსანიშნავია 1940 წლის ოქტომბრის თვეში გამართული ფილიალის თანამშრომელთა საერთო კრებაზე აკად. **ნ. მუსხელიშვილის** საანგარიშო მოხსენების ტექსტი, რომელშიც წარმოდგენილია საქფი-

ლიალის მუშაობის 5 წლის მოკლე ანგარიში. მოხსენების ტექსტი შემდეგ გაზეთ „პრავდა-ში“ დაიბეჭდა [11]. ის ბოლოვდებოდა შემდეგი მოწოდებით: „სსრკ მეცნიერებათა აკადე-მიის საქართველოს ფილიალის სოლიდური სამეცნიერო კადრები, მისი თანამშრომლების ენერგიული და ნაყოფიერი შრომა ქმნის ყველა წინაპირობას იმ იმედისას, რომ ახლო მომა-ვალში შესაძლებელი გახდეს, დაისვას საკითხი მისი საქართველოს მეცნიერებათა აკადე-მიად რეორგანიზაციის შესახებ.“

„პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში აკად. **ნ. მუსხელიშვილი** წერს: „ძნელია შეაფა-სო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებისა და ბაზების კულტურული და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, რომლებიც მუშაობენ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელ-თაც ჯერ კიდევ არა აქვთ თავიანთი მეცნიერებათა აკადემიები, ფილიალები და ბაზები აერთიანებს ცალკეული რესპუბლიკების სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს და საზოგა-დოდ არის კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრები.

ამათგან საკავშირო მ/ა საქართველოს ფილიალი წარმოადგენს სამეცნიერო დაწესე-ბულებას, რომელიც დაარსდა 1935 წელს, მან ხუთი წლის არსებობის განმავლობაში შეას-რულა მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელზედაც წარმოდგენის შესაქმნელად მოთხრობილია [11] სტატიაში. მის ხელნაწერში აკადემიკოსი **ნ. მუსხელიშვილი** დეტალურად მიმოიხი-ლავს „ენიმკის“, გეოფიზიკური, ქიმიური და ბოტანიკური ინსტიტუტების საქმიანობას.

წარმოდგენილი ინსტიტუტებიდან საკავშირო მკითხველებისათვის ბოლო სამის მუ-შაობის გაცნობა საჭირო იყო მეცნიერების სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩაყენების სა-ხელმწიფოებრივი მიდგომის თვალსაზრისით. მაგრამ ქართული ენის, ისტორიისა და არ-ქეოლოგიის დარგში შესრულებული სამუშაოების ასეთი ფართო მასშტაბით წარმოდგენას „პრავდაში“ შეიძლება მოტივაცია გაეკეთებინათ იმ თვალსაზრისით, თუ რა სულიერი სიმდიდრისა და ტრადიციების ქვეყანა იყო საქართველო, რომლის წარსულის შემდგომი მეცნიერული შესწავლა და გამოვლენა სჭირდებოდა მომავლისათვის. აკად. **ნიკო მუსხე-ლიშვილის** მიმართ ხშირად გამოთქვამდნენ საყვედურს, თითქოსდა იგი მათემატიკის ინ-სტიტუტში მხოლოდ დრეკადობის თეორიას ავითარებდა, ხოლო ფილიალსა და მეცნიე-რებათა აკადემიაში კი საბუნებისმეტყველო ტექნიკურ მეცნიერებებსო. რამდენად ცალ-მხრივი იყო ეს შეფასება დიდი მეცნიერისათვის, შეიძლება დავრწმუნდეთ ხსენებული სტატიიდანაც. კერძოდ, იგი წერს: „გადავდივართ რა ცალკეულ ინსტიტუტების მუშაობის დახასიათებაზე, დავიწყებ აკად. **ნ.მარის** სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საქმიანობით, რომელშიც თავმოყრილია ფილიალის მთელი სა-მუშაო ჰუმანიტარულ დისციპლინებში. აქ მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ქართულ ენათმეცნიერებაში, ქართულ ლექსიკოლოგიაში და სამეცნიერო ტერმინოლოგია-ში, კავკასიურ და ზოგად ენათმეცნიერებაში, ქართულ ლექსიკოლოგიაში და სამეცნიერო ტერმინოლოგიაში, საქართველოსა და კავკასიის ისტორიაში, არქეოლოგიასა და ეთნოგრა-ფიაში, ახლო აღმოსავლეთის ძველ ენებსა და ისტორიაში.

ენათმეცნიერული სამუშაოს ძირითად საკითხს შეადგენს ქართველური ენების შე-მადგენლობის კვლევა, კერძოდ, კავკასიურ და საზოგადოდ ახლოაღმოსავლურ ცოცხალ და მკვდარ ენებთან (შუმერული, ურარტული, ხეთური და სხვ.) კავშირში. ამ კვლევებიდან უნდა გამოვყოთ აკადემიკოს **ივანე ჯავახიშვილის** კაპიტალური შრომა „ქართველური და

კავკასიური ენების პირვანდელი შედგენილობა და ნათესაობა“ (თბილისი, 1937 წ.).

უკანასკნელ წლებში შესრულებულია დიდი მოცულობის სამუშაო სამეცნიერო ტერმინოლოგიის უნიფიკაციისათვის ტექნიკის, მათემატიკის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, სოფლის მეურნეობის, გეოლოგიის, პოლიტეკონომიის, არქიტექტურის, რადიოტექნიკისა და სხვა დარგებში.

ინსტიტუტში შედგენილია ქართული ენის გრამატიკა, ქართული ენის გრამატიკა სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისათვის. ასევე წარმოდგენილია საქართველოსა და კავკასიის ისტორიის ინსტიტუტისა და სხვა ჰუმანიტარული მიმართულების ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები და მათი განვითარების პერსპექტივები.

რა თქმა უნდა, ამ სტატიაში საფუძვლიანად იყო წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო და მათემატიკური დარგების სამეცნიერო კვლევები და დასახული იყო მათი მომავალი განვითარების გზები.

აქ მოტანილი სტატიის ხელნაწერის ტექსტი არანაირ კომენტარს არ საჭიროებს. აშკარაა, როცა აკად. **ნ. მუსხელიშვილი** ამ სტატიას ამზადებდა გაზეთ „პრავდისათვის“, იგი განიცდიდა აკადემიკოს **ივანე ჯავახიშვილის** უშუალო გავლენას. რა დოზით მიეწოდებინა იგი საკავშირო მასიური მკითხველისათვის, საქართველოში მეცნიერების განვითარების დონის შესახებ, ეს უნდა შევაფასოთ იმ პოზიციიდან, თუ რა დამოკიდებულებაში იყო იგი ჰუმანიტარული და ტექნიკური დარგის მეცნიერებთან, როგორც საქფილიალის თავმჯდომარე, განსაკუთრებით მეცნიერებათა პერსპექტიული განვითარების მხრივ. თუ მაინც გადავხედავთ სტატიაში საკუთრივ მისი სპეციალური ინსტიტუტების და დარგის მათემატიკური ინსტიტუტის მუშაობის შესახებ თქმულს, გავაცნობიერებთ შემდეგს: საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მათემატიკური ინსტიტუტი არის ფილიალის ერთ-ერთი ძლიერი ინსტიტუთაგანი, მაღალკვალიფიციური სპაციალისტების საკმაოდ მაღალი რიცხვით. მაგრამ უდიდესი ყურადღება ექცევა მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკაში გამოყენების საკითხებს [11].

მეცნიერების ყველა დარგის განვითარების ზოგადი პერსპექტივის ცოდნა, ცალკეული მიმართულების მეცნიერული პრობლემის არსში ჩაწვდომა, მათი საერთო განვითარებიასათვის ზრუნვა, ყურადღებისა და საშუალებათა ბალანსირების უნარი საშუალებას აძლევდა აკადემიკოს **ნიკოლოზ მუსხელიშვილს** ყოფილიყო ფილიალის საერთო მეცნიერული წინსვლის წარმმართველად, რაც საფუძველს ქმნიდა საქმეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობაზე 1941 წლის არჩევნებში მისი კანდიდატურის წარდგენისათვის.

ლიტერატურა

1. Академия Наук Грузинской ССР. Под редакцией Акад. Е.К. Харадзе. Изд. «Медниереба» Тбилиси, 1981.
2. ეფრემიძე თ. აკადემიკოსი ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილი. ქუთაისი, 2011
3. Джорбенадзе С.М. Учреждения АН СССР и Тбилисский Университет, Тбилиси, Изд. ТГУ, 1974.

4. Мусхелишвили Н., Карапетян С., Павловский Е. Якубов А. Организатор и руководитель наших филиалов (К 70-летию со дня рождения В. Комарова. Вестник АН СССР, №10, М, 1939
5. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი ფ.1, ა.1, შ.ე. 138, ადეიშვილი თ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მოკლე ისტორია. ქუთაისი, 2023
6. დურმიშიძე ს. ზოგი რამ წარსულიდან „მეცნიერება“, თბილისი. 1985.
7. ЦГЦИА СССР, Ф. 409, оп. 1, дело 81200
8. ეფრემიძე თ. ნიკო მუსხელიშვილის უზენაესი სახელმწიფოებრივი და აკადემიური სარბიელის დასაწყისი, განთიადი, №6 ქუთაისი, 1991
9. Андроникашвили Э. Воспоминания о жидком гелии. Изд. „Генатлеба", Тбилиси, 1990
10. საქართველოს მ/ა ცენტრალური არქივი, ფ.1, ა.1., შ.ე. 22520
11. Мусхелишвили Н.И. Наука в советской Грузии. О работе Грузфилиала Академии Наук СССР. Правда, 1940.18 октября. Москва.

Academician Nikoloz Muskhelishvili's work at the Georgian branch of the USSR Academy of Sciences

T. Adeishvili, I. Adeishvili, I. Avalishvili, N. Berdzenishvili, E. Thghenti, R. Katvelishvili, S. Sharashenidze, M.Jikia

SUMMARY

The paper presents the work of academician Nikoloz Muskhelishvili in the Georgion branch of the USSR Academy of Sciences and shows the ways he set to establish the Georgian Academy of Sciences